# ახალი ხარაგაული

№429 (4) 5 აპრილი, 2021 წ.


## მაჟორიტარმა დეპუტატმა და ხარაგაულის მერმა მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე ერთობლივად იმსჯელეს

საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, პაატა კვიჟინაძემ და მუნიციპალიტეტის მერმა, კობა ლურსმანაშვილმა, ხარაგაულისათვის აქტუალურ საკითხებზე ერთობლივად იმსჯელეს.

საუბარი შეეხო მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, დასაქმების თემას, არსებულ სოციალურ მდგომარეობას და სხვადასხვა ლოკალურ პრობლემებს, რომლებიც მოსახლეობამ დეპუტატის ბიუროში მაჟორიტართან შეხვედრის დროს დააყენა.

„მოქალაქეებთან გეგმიური შეხვედრა მქონდა ხარაგაულის ბიუროში. ინდივიდუალურად მოვისმინე პრობლემები, რის შესახებაც მერთან და მის მოადგილეებთან უკვე მქონდა საუბარი. შევეცდებით, ერთობლივი მუშაობით, ეტაპობრივად დაყენებული საკითხები დადებითად გადავჭრათ,“- აღნიშნა პაატა კვიჟინაძემ.



მაჟორიტარმა ადგილობრივ თვითმმართველობასთან კონსტრუქციულ და კეთილგანწყობილ ურთიერთობებზე ისაუბრა და დასძინა, რომ ყოველივე ეს დადებითად აისახება საქმეზე.

მუნიციპალიტეტის მერმა, კობა ლურსმანაშვილმა, შეხვედრა შეაჯამა და იმ საკითხებზე გაამახვილა ყურადღება, რაც დეპუტატთან ერთად სამუშაო ფორმატში განიხილა.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მაჟორიტარი დეპუტატი ბატონი პაატა კვიჟინაძე პერიოდულად, ინდივიდუალურად განიხილავს ყველა იმ საკითხს, რაც მოქალაქეების მხრიდან თავს იყრის დეპუტატის ბიუროში. შემდეგ ერთობლივად ვიხილავთ ამ თემებს. იგი აქტიურად არის ჩართული ხარაგაულისთვის მნიშვნელოვანი პროექტების დაფინანსების საკითხებში და თანამშრომლობს სხვადასხვა უწყებებთან, რაც შეიძლება მეტი სიკეთე მოუტანოს მუნიციპალიტეტს. ველოდებით ახალ-ახალ შესაძლებლობებს და ყველა ერთად-მერია, საკრებულო, დეპუტატის ბიურო - არაერთ კარგ პროექტს განვახორციელებთ ხარაგაულისთვის. მინდა, მადლობა ვუთხრა ბატონ პაატას ასეთი აქტიურობისთვის და ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვისათვის“, - აღნიშნა კობა ლურსმანაშვილმა.

## ხარაგაულის მერი სამსახურის უფროსებს შეხვდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა, კობა ლურსმანაშვილმა, მერიის სამსახურის უფროსებთან და ა(ა)იპ-ების დირექტორებთან სამუშაო თათბირი გამართა. შეხვედრაზე მიმოიხილა ყველა აქტუალური საკითხი და ხაზგასმით განმარტა, რომ მომავალში კოორდინირებული მუშაობის პრინციპით ასეთ შეხვედრებს პერმანენტული ხასიათი ექნება.

,,თუ ჩვენ გვინდა, უფრო ეფექტურად და ნაყოფიერად ვემსახუროთ ხალხს, პირველ რიგში, აუცილებელია ერთმანეთთან გვქონდეს აქტიური თანამშრომლობა. მერიის მთელი გუნდი ორიენტირებული უნდა იყოს, რაც შეიძლება სწრაფად და ხარისხიანად მიიღოს მოსახლეობამ ყველა ის სიკეთე, რასაც ახორციელებს ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლება.“- აღნიშნა კობა ლურსმანაშვილმა.



ხარაგაულის მერმა ასევე ყურადღება გაამახვილა ა(ა)იპ-ების საბიუჯეტო სახსრების ეფექტურად განკარგვაზე. მისივე თქმით, ის მაქსიმალურად იქნება ჩართული როგორც პროგრამების დაგეგმვაში, ისე მათს განხორციელებაში. ,,საზოგადოებაში არ უნდა არსებობდეს ის განცდა, რომ თითქოს ა(ა)იპ-ები ცალკე ორგანიზაციებია. იმისათვის, რომ თქვენი საქმიანობა იყოს ნაყოფიერი, ნებისმიერი აქტივობები მოსახლეობის საჭიროებებზე უნდა იყოს მორგებული“.-აცხადებს ხარაგაულის მერი.

შეხვედრაზე კობა ლურსმანაშვილმა მადლობა გადაუხადა მოადგილეებს- ვარლამ ჭიპაშვილსა და დავით დევდარიანს- აქტიური მუშაობისთვის და აღნიშნა, რომ საქმისადმი ასეთი ერთგული დამოკიდებულება, მით უმეტეს, პროფესიონალი კადრების მხრიდან, ნამდვილად მოიტანს პროგრესს.

## განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს ეტლები გადაეცათ



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა კობა ლურსმანაშვილმა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს ეტლები გადასცა. სოციალური აქცია ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალურმა ცენტრმა“ (დირექტორი ეკა შავიძე) საერთაშორისო ორგანიზაცია „საქართველოს ქალები სიცოცხლისა და მშვიდობისათვის“ (თავმჯდომარე მაია კვეზერელი - კოპაძე) მხარდაჭერით განახორციელა.

თანამედროვე, კომფორტული ეტლები, ინდივიდუალური შესაძლებლობების მიხედვით, იმ პირებს გადაეცათ, ვისაც ან საერთოდ არ ჰქონდა ეტლი, ან დაზიანებული იყო.

ხარაგაულის მერმა კობა ლურსმანაშვილმა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ბენეფიციარები სახლში პირადად მოინახულა და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას ადგილზე გაეცნო.

,,თუკი მუნიციპალიტეტში კვლავ დადგება ეტლების საჭიროება, თუმცა სასურველი ნამდვილად არაა, ჩვენ მზად ვართ, მოთხოვნა დავაკმაყოფილოთ. გსმ პირთა საზოგადოებასთან ადაპტაცია და გარემოსთან შეგუება ყველა ჩვენგანის საზრუნავია. სწორედ ამიტომ ხარაგაულის მერია მაქსიმალურად ცდილობს, ამ ადამიანებს გვერდით დაუდგეს და მათი ყოფა-ცხოვრება გააუმჯობესოს,“-განმარტა ხარაგაულის მერმა.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის აქცია ა(ა) იპ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ ორგანიზებით, ხარაგაულში 2016 წლიდან ხორციელდება. ცენტრის წარმომადგენლები საცხოვრებელ სახლებში მისვლით პირადად უზრუნველყოფენ თითოეული პირისათვის ზომების აღებასა და შესაბამისი კითხვარების შევსებას. აქვე მოგახსენებთ, რომ ამ წლების განმავლობაში პროგრამაში, დაახლოებით, 100 ბენეფიციარი ჩაერთო.

## ვარლამ ჭიპაშვილი ა(ა)იპ-ების საქმიანობას ადგილზე ეცნობა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი მერიის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ების საქმიანობას ადგილზე ეცნობა. ამ ეტაპზე მერის პირველი მოადგილე ა(ა)იპ ,,კულტურისა და ხელოვნების ცენტრსა“ და ა(ა)იპ ,,ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებას“ სტუმრობდა. ვარლამ ჭიპაშვილი დეტალურად გაეცნო ყველა სტრუქტურული დანაყოფის საქმიანობას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, გაესაუბრა თანამშრომლებს და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია მოისმინა.

„სასიხარულოა, რომ კომფორტულადაა მოწყობილი ცენტრალური ბიბლიოთეკა თავისი სამკითხველო დარბაზით, გარემონტებულია კინოთეატრი, სადაც შესაბამისი ღონისძიებები აღდგება, სახალხო თეატრი



უკვე მუშაობს ახალ სპექტაკლზე. ფუნქციონირება დაიწყო ქორეოგრაფიულმა და სამეჯლისო ცეკვების წრეებმაც. მისასალმებელია, რომ ძალიან კარგი გეგმები აქვს რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურულ თეატრს. ასევე, ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ უნიკალური ნამუშევრებია შემოტანილი მუზეუმში ლევან ცუცქირიძის სამხატვრო გალერეასთან თანამშრომლობით. მნიშვნელოვანია, რომ ა(ა)იპ-ების საქმიანობა გარკვეულწილად შედიოდეს სოფლებშიც და ამ საკითხზე სამომავლოდ უფრო აქტიურად ვიმუშავებთ. რაც შეეხება სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას, აქ არაჩვეულებრივი გარემოა, ინფრასტრუქტურა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისადაა აღჭურვილი. ხელისუფლების პრიორიტეტი არის განათლება და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ აღსაზრდელებს უფრო მეტად კომფორტული გარემო შევუქმნათ.“-აღნიშნა ჩვენთან საუბარში ვარლამ ჭიპაშვილმა.

მერის პირველი მოადგილის ინფორმაციით, ყველა ის გამოწვევა, რომელიც ადგილზე მოისმინა, ხარაგაულის მერთან ერთად იქნება განხილული და შემდგომში, პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებები განხორციელდება.

## გერმანიაში დასაქმების მსურველთათვის საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში გერმანიაში დასაქმების მსურველთათვის საინფორმაციო შეხვედრა მოეწყო, რომელსაც დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს შრომითი დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი გაბედავა უძღვებოდა. ბ-ნმა გიორგიმ დეტალურად განმარტა საქართველოსა და გერმანიას შორის დადებული შრომითი შეთანხმების პირობები და იმ კონკრეტულ ვაკანსიაზეც ისაუბრა, რომელიც ხარაგაულელი ბენეფიციარებისათვის არის შეთავაზებული. კერძოდ, ეს არის კენკროვანების კრეფა და მცენარეების დარგვა, თუმცა, როგორც მომხსენებელმა განაცხადა, ახლო მომავალში სხვა ვაკანსიების შეთავაზებაც მოხდება.

რაც შეეხება პირობებს, დასაქმებული მუშაობს სამი თვე, დღეში რვა საათი, კვირაში ერთი დღეა დასვენება, სამუშაო დღეებში კი შესვენება 30 წუთია. მინიმალური ხელფასი შეადგენს ერთ საათში 9,50 ევროს, საიდანაც იბეგრება საშემოსავლოს 5%. ბინის ქირა თვეში 150 ევროა. საცხოვრებელი სახლი არის სამუშაო ადგილთან ახლოს და უზრუნველყოფილია ყველა საჭირო ნივთითა და



საყოფაცხოვრებო ტექნიკით.

ასევე, კიდევ ერთი დადებითი მაჩვენებელი იმ ვაკანსიისა, რომელიც ხარაგაულში არის წარმოდგენილი, არის ის, რომ დამსაქმებელი უზრუნველყოფს დღეში ერთჯერ კვებას - სადილს, სხვა შემთხვევაში ეს არ არის გათვალისწინებული.

ამავე დღეს შრომითი მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლები ხარაგაულის მერს, კობა ლურსმანაშვილს, შეხვდნენ და მადლობა გადაუხადეს პროექტში აქტიური ჩართულობისთვის, ადგილობრივ დონეზე მხარდაჭერისთვის და ინფორმაციის სწორად, დროულად და ეფექტურად გავრცელებისთვის.

გიორგი გაბედავამ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიმდინარე პროცედურების, რეგისტრაციის და ყველა საჭირო ინფორმაციის სწორად მიწოდებაში დიდი როლი აქვს ადგილობრივ თვითმმართველობას. მან ასევე ხაზი გაუსვა პოტენციური დასაქმებულების უკან დაბრუნების აუცილებლობას და აღნიშნა, რომ ბენეფიციარმა აუცილებლად უნდა შეიძინოს, როგორც გამგზავრების, ასევე უკან დასაბრუნებელი ბილეთი.

აქვე მოგახსენებთ, რომ ხარაგაულის მერიაში აქტიურად ხორციელდება დარეგისტრირებული აპლიკანტებისათვის მეორე ეტაპი - ბაზაში რეგისტრაცია, რომლის ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს მერის თანაშემწე ჟანა ნემსაძე. როგორც ქ-ნ ჟანა ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, აპლიკანტთა მიერ წარმოდგენილ საბუთებს ამოწმებს გერმანული მხარე და ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას. თუ ბენეფიციარი დააკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, შერჩეული ნაკადი გერმანიაში პირველ მაისს გაემგზავრება.

**გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ**

## ხარაგაულის მერია პანდემიით დაზარალებულ მოქალაქეებს დაეხმარა



ქვეყანაში არსებული ეპიდვითარებიდან გამომდინარე, ხარაგაულის მერის, კობა ლურსმანაშვილის, ინიციატივით, მორიგი სოციალური აქცია განხორციელდა. აქციის ფარგლებში, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფისთვის საკვები პროდუქტები, დაახლოებით, ხუთასმა ოჯახმა მიიღო.

აღნიშნულ პროცესებს ორგანიზება გაუწია მერის პირველმა მოადგილემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, რომელიც აღნიშნავს, რომ კოვიდინფექციის გავრცელების პერიოდში მერიამ რამდენიმე სოციალური აქცია განახორციელა. ეს დახმარება კი, ძირითადად, იმ პირებისთვის განისაზღვრა, ვინც ვერც ერთ კატეგორიაში ვერ მოხვდა.

საერთო ჯამში, ამ მიმართულებით 19 000 ლარი დაიხარჯა და ბენეფიციარებისათვის პროდუქტების ადგილზე მიტანა მერის წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს.

ეკა შავიძე

## ხარაგაულის მერია დაუნის სინდრომის მსოფლიო დღეს შეუერთდა

2011 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით, 21 მარტი დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღედ დაწესდა. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ამ დღეს, დაუნის სინდრომის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით, სხვადასხვა ღონისძიება იმართება, მათ შორის- საქართველოშიც. დაუნის სინდრომი გენეტიკური ცვლილებაა, რომლის დროსაც ნაყოფის უჯრედებში 46-ის ნაცვლად 47 ქრომოსომა ჩნდება და ათასი ბავშვიდან ერთი სწორედ ამ სინდრომით იბადება.

აღსანიშნავია, რომ დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს ხარაგაულის მერიაც შეუერთდა. მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი მარიამ წიქარიშვილს სახლში პირადად ესტუმრა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

„მარიამს წლებია, ვიცნობ, კარგად ვიცი მისი ოჯახის სოციალური მდგომარეობა და საჭიროებები. ახლაც, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, მათს საცხოვრებელ სახლზე გარკვეული სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს და, შესაძლებლობის ფარგლებში, ყოველთვის გვერდით დავუდგებით. აქვე მინდა, განსაკუთრებული პატივისცემა გამოვხატო მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ სინ-



დრომის მატარებელი ყველა პირისადმი. ხარაგაულის მერია ნებისმიერი მასშტაბური სოციალური აქციის, ღონისძიებისა თუ პროგრამის ფარგლებში, ითვალისწინებს მათს საჭიროებებს“, - აღნიშნა კობა ლურსმანაშვილმა.

აქვე მოგახსენებთ, რომ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ დაუნის სინდრომის მქონე პირებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან პირად ანგარიშზე 100-100 ლარი ჩაერიცხათ.

ეკა შავიძე

## სტიქიის შედეგად ბაზალეთი-ხარაგაულის დამაკავშირებელი გზა დაზიანდა



ბაზალეთი-ხარაგაულის დამაკავშირებელ გზაზე, ხანგრძლივი წვიმის შედეგად, გარკვეული მონაკვეთი დაზიანდა. ამ დროისთვის გადაადგილების საფრთხე არ არსებობს, თუმცა მდგომარეობა საყურადღებოა. შექმნილ ვითარებას ადგილზე გაეცნო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი, საავტომობილო გზების დეპარტამენტის საპროექტო სამსახურის უფროს დავით კალაძესთან ერთად. როგორც ბატონმა დავითმა განმარტა, სამსახურმა უშუალოდ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილისგან მიიღო დავალება, ადგილზე შეესწავლათ ხარაგაულში სტიქიით შექმნილი ეს კონკრეტული მდგომარეობა. მისივე ინფორმაციით, პირველადი სამუშაოები, რაც დაუყოვნებლივ უნდა ჩატარდეს, არის მდინარის კალაპოტის შეცვლა, რათა შეწყდეს კედლის გამორეცხვა და პროცესი დროებით შეჩერდეს. შემდეგი ნაბიჯი პროექტის მომზადება და აღნიშნულ ადგილზე ახალი საყრდენი კედლის აშენებაა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის, კობა ლურსმანაშვილის, განცხადებით, ადგილობრივი ხელისუფლება აქტიურად მუშაობს, რათა პრობლემა უახლოეს მომავალში აღმოიფხვრას.

„გვაქვს კოორდინაცია შესაბამის სამინისტროსთან და მინისტრის მოადგილეებთან. უკვე ჩამოვიდა სამუშაო ჯგუფი და ადგილზე ახდენს ტექნიკურ დათვალიერებას. ცხადია, არსებული პროცესის აღმოფხვრა დაკავშირებულია ფინანსებთან და დროსთან, მაგრამ მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დავიწყეთ. ექსტრემალურ ვითარებაში პროცესის მართვის კარგი გამოცდილება გვაქვს და ვიმედოვნებთ, ეს პრობლემა მალე აღმოიფხვრება. რაც შეეხება ამჟამინდელ მდგომარეობას, აღნიშნულ გზაზე გადაადგილების პრობლემა არ არის, თუმცა მოქალაქეებს ვურჩევთ, მაქსიმალური სიფრთხილე გამოიჩინონ“,- აღნიშნა კობა ლურსმანაშვილმა.

ეკა შავიძე

## „სოფლის მხარდამჭერის პროგრამის“ ფარგლებში ხარაგაულში 156 პროექტი განხორციელდება



30 მარტს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებმა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შერჩეულ პროექტებზე იმსჯელეს. საკითხი ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა პეტრე შარიქაძემ წარადგინა და განმარტა, რომ მიმდინარე წელს ამ მიმართულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 890 000 ლარი გამოეყო, რომლითაც 156 პროექტის განხორციელება იგეგმება. თანადაფინანსება კი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 193 000 ლარით განისაზღვრა.

სხდომას ესწრებოდა მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი, რომელმაც პროგრამის მნიშვნელობაზე ისაუბრა და ხაზგასმით განმარტა, რომ გამოყოფილი თანხები, სოფლის მოსახლეობის უშუალო ჩართულობითა და მათივე გადაწყვეტილებით, მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას მოხმარდება.

,,საერთო კრებებზე ძირითად პრობლემად წყლის სისტემის მოწესრიგება, გარე განათება და გზების რეაბილიტაცია დასახელდა. მიხარია, რომ მოსახლეობასთან ერთად პროექტების შერჩევის პროცესში აქტიურად ჩაერთნენ მერის წარმომადგენლები და სოფლის მაჟორიტარი დეპუტატები. მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ ხარაგაულის მერის, კობა ლურსმანაშვილის, გადაწყვეტილებით, იქ, სადაც პრიორიტეტული პროექტებისათვის საკმარისი თანხა არაა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოხდება თანადაფინანსება.“-აღნიშნა ვარლამ ჭიპაშვილმა.

დეპუტატების უმრავლესობამ წარმოდგენილ საკითხს მხარი დაუჭირა. აქვე მოგახსენებთ, რომ ამის შემდეგ გამარტივებული შესყიდვით, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, დაიწყება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და წლის ბოლოს დასრულდება.

თამარ მაღრაძე

## ჩვენი უსაზღვრო მადლიერება

ქალბატონ იზა ვეფხვაძის ღვაწლი ფასდაუდებელია არა მარტო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის წინაშეც. მისი შემოქმედებითი საღამოები და სპექტაკლები მსმენელს გულგრილს არასოდეს სტოვებს. ხარაგაულსა და ხარაგაულელთა ყოფაზე შექმნილი 12 წიგნის ავტორმა 23 მარტს სოფელ ღორეშაში მოაწყო თავისი მეცამეტე წიგნის პრეზენტაცია. წიგნში ,,ხარაგაულის მსახური ახმედ გოგოლაძე“ ავტორი შთამბეჭდავად ასახავს მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული კაცის, ახმედ გოგოლაძის, ცხოვრების დეტალებს. პრეზენტაციაზე დამსწრე თითოეული ჩვენგანი დიდმა ემოციამ და მადლიერების გრძნობამ მოიცვა, რადგან ახმედ გოგოლაძე ღორეშის მკვიდრი იყო და თავდავიწყებით უყვარდა თავისი მშობლიური სოფელი.

როგორც ქალბატონმა იზამ ბრძანა, წიგნი გამოიცა მამა პეტრეს (კურტანიძე) ინიციატივითა და ლოცვა-კურთხევით, ფინანსურად კი უზრუნველყო ახმედ გოგოლაძის დისშვილმა ზურაბ ბარბაქაძემ. წიგნის პრეზენტაციას ესწრებოდნენ ახმედ გოგოლაძის ახლობლები, მისი თანამედროვენი და სოფლის ინტელიგენცია.



მათ დიდი სითბოთი და სიყვარულით გაიხსენეს ბატონი ახმედი და ხაზი გაუსვეს მის თავმდაბლობას და იმ ღვაწლს, რაც ამ ფუტკარივით მოუსვენარმა კაცმა შეიტანა სოფლისა და რაიონის კულტურული ცხოვრების ისტორიაში.

ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ, ბატონმა ნიკოლოზ მაჭავარიანმა და ღორეშის საჯარო სკოლის მოსწავლე ანი გლუნჩაძემ მხატვრული ოსტატობით წაიკითხეს ახმედ გოგოლაძის ლექსები.

პრეზენტაციის დასრულებისას ქალბატონმა იზამ დაგვასაჩუქრა წიგნით ,,ხარაგაულის მსახური ახმედ გოგოლაძე“. ეს წიგნი ნამდვილად დაამშვენებს სოფელ ღორეშისა და თითოეული ჩვენგანის საკუთარ ბიბლიოთეკას.

სოფელ ღორეშის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, მთელი სოფლის მოსახლეობასთან ერთად, დიდ მადლობას უხდის წიგნის ავტორს, ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის დამაარსებელსა და ხელმძღვანელს, ქალბატონ იზა ვეფხვაძეს საინტერესო ღონისძიებისათვის.

*ღორეშის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი*

## დაბა ხარაგაულის უწყვეტი წყალმომარაგების მიზნით, ტენდერის მეორე ეტაპი დასრულდა



დაბა ხარაგაულის 24-საათიანი წყალმომარაგების მიზნით გამოცხადებული ტენდერის მეორე ეტაპი შერჩევა -შეფასების ეტაპზეა. პროექტი ითვალისწინებს დაბა ხარაგაულის წყალმომარაგების ქსელის მოწყობას, მათ შორის სამუშაოები განხორციელდება პატარა ხარაგაულის დასახლებაში. აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად 2 585 372 ლარი დაიხარჯება.

შეგახსენებთ, რომ მუნიციპალიტეტში უწყვეტი წყალმომარაგების მიზნით, სამუშაოების პირველი ეტაპი აქტიურად მიმდინარეობს, რაც ითვალისწინებს ლეღვნის სათავე ნაგებობიდან სოფელ დიდვაკეში, საღანძილესა და დაბა ხარაგაულში შემომავალი წყლის სისტემის მაგისტრალის სრულ რეაბილიტაციას, ასევე რეზერვუარის მოწყობას და კორპუსების შიდა გაყვანილობის აღდგენას.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დაბა ხარაგაულში წყალარინების სისტემაც მოეწყობა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად, ტენდერში გამარჯვებული კომპანია ვალდებულია, სამუშაოები ხუთ თვეში დაასრულოს.

ეკა შავიძე

## უხვი ნალექის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა იწყება



საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის, პაატა კვიჟინაძისა და მუნიციპალიტეტის მერის, კობა ლურსმანაშვილის, აქტიური მუშაობით, სტიქიით დაზიანებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მიზნით, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 1 200 000 ლარი გამოეყო.

აღნიშნული თანხა, ძირითადად, გზებისა და ხიდების რეაბილიტაციის, ნაპირსამაგრი სამუშაოებისა და გაბიონების მოსაწყობად დაიხარჯება.

პროექტის ფარგლებში, დაბა ხარაგაულში, ბაზრის ტერიტორიაზე აშენდება გზის ნაპირდამცავი კედელი;

სოფელ ლეღვანში, კიბაბოურის უბანში, მოეწყობა ახალი სახიდე გადასასვლელი; გარდა ამისა, ცენტრალურ გზაზე გაკეთდება გაბიონები;

ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდება დაზიანებული ხიდებისა და მილხიდების აღდგენა, კერძოდ, ალედი ბარბაქაძის უბანში მოეწყობა სანიაღვრე არხი და კურტანიძეების უბანში -მილხიდი;

მაქათუბანში ბეტონის გზაზე ღელის წყლისაგან დაზიანებული ბეტონის მონაკვეთი აღდგება, ასევე მაღაზიასთან გაკეთდება მილხიდი;

მილხიდის მოწყობა იგეგმება კვესრევშიც. ამავე სოფელში, სავანის უბანში, გაკეთდება ორი ხიდ-ბოგირი;

აქვე მოგახსენებთ, რომ ზემოაღნიშნული სამუშაოების განხორციელების მიზნით, ტენდერი მერიამ უკვე გამოაცხადა.

ეკა შავიძე

## „შეამჩნიე“-ხარაგაულის გენდერული საბჭო სოციალურ აქციას ახორციელებს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან ერთად სოციალური ხასიათის აქცია ,,შეამჩნიე“ წამოიწყო.

აქციის ფარგლებში ხარაგაულის მერის პირველმა მოადგილემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დავით კიკნაძესთან და გენდერული თანასწორობის საკითხებში მერის თანაშემწე ინგა ბერაძესთან ერთად, სოციალურად დაუცველი მცირეწლოვანი ბავშვის დედა თეა ბაკურაძე მოინახულა და მისი საჭიროებები მოისმინა. სულ მალე თეა ბაკურაძე, მერიის სოციალური პროგრამის ფარგლებში, ბინის ქირით უზრუნველყოფის



პროგრამის მოსარგებლე გახდება.

,,თითოეულმა ჩვენგანმა უნდა ავიღოთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანების მიმართ. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ მარტოხელა დედები, ამიტომ მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, მათი ყოფითი ცხოვრება ცოტათი მაინც გავაუმჯობესოთ,“ - განაცხადა ვარლამ ჭიპაშვილმა.

,,ხარაგაულში ძალიან ბევრი მარტოხელა დედაა, რომელთაც სტატუსი არ აქვთ და მძიმე პირობებში მარტო უწევთ ოჯახის ტვირთის ზიდვა. ამ ადამიანებს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებათ, სწორედ ამიტომ, ჩვენ პერიოდულად შევისწავლით ასეთი ოჯახების საჭიროებებს და, შესაძლებლობების ფარგლებში, დახმარებას გავუწევთ,“- ამბობს ინგა ბერაძე.

შეგახსენებთ, რომ მსგავსი ტიპის აქციები მუნიციპალიტეტში შემდგომშიც დაიგეგმება.

ეკა შავიძე

## დეპუტატები ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის საქმიანობას შეაფასებენ



ბიუროს მორიგ სხდომაზე დეპუტატებმა ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში მოისმინეს, რომლის შესახებ ამავე სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ზურაბ ბანცაძემ ვრცლად ისაუბრა.

მომხსენებლის განმარტებით, საანგარიშო პერიოდში სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების დამტკიცება მოხდა 23 სხვადასხვა დანიშნულების ობიექტზე, მშენებლობის ნებართვის გაცემა კი-26 ობიექტზე. გარდა ამისა, განხორციელდა სამშენებლო პროექტების შეთანხმება 41 ობიექტზე. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ 2020-2021წწ. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლიდან ბიუჯეტში შემოსულია 38506.18 ლარი.

მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, რომ სამსახურმა, კომპენტენციის ფარგლებში, შეისწავლა და მოახდინა შესაბამისი რეაგირება მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ მოქალაქეთა განცხადებებზე. გარდა ამისა, თანამშრომლები დებულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობის გარდა ჩართული არიან მერიაში არსებულ სხვადასხვა კომისიის მუშაობაში.

გაცნობებთ, რომ ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 5 აპრილს გამართულ საკრებულოს სხდომაზე შეფასდება.

თამარ მაღრაძე

## სოციალურ პროგრამებში ცვლილებების განხორციელება იგეგმება

ხარაგაულის მერიაში სოციალურ პროგრამებს შესაძლოა, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების გადაუდებელი პირველადი მხარდაჭერისა და ვეტერანების დახმარების პროგრამები დაემატოს. ამის შესახებ ინფორმაციას ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ნანა კიკნაძე ავრცელებს.

როგორც ნანა კიკნაძე გვესაუბრება, მიმდინარე წელს სოციალური მიმართულებით ბიუჯეტი 965 000 ლარით განისაზღვრა, რომლის ფარგლებში სამსახური 21 ქვეპროგრამის განხორციელებას გეგმავს. მოგეხსენებათ, რომ ნებისმიერი დახმარების გაცემის საკითხი კომისიური წესით განიხილებოდა, ცვლილებების შედეგად კი ძირითადი ქვეპროგრამების განხორციელება სამსახურის პრეროგატივა ხდება. კომისიურ ფორმატში კი მხოლოდ ერთჯერადი ფინანსური და სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარების საკითხებზე იმსჯელებენ. ასევე სამუშაო ჯგუფი განიხილავს ბინის ქირით ოჯახის უზრუნველყოფის საკითხს.

„თუ სამკურნალო და საოპერაციო



ხარჯების ნახევარს ვაფინანსებდით არა უმეტეს 700 ლარისა, ამ პროექტით თანხა 1000 ლარამდე იზრდება. სიახლეა ისიც, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვების პოსტკოვიდური გართულების მკურნალობას კურორტ ნუნისში, ადგილობრივი ბიუჯეტი დააფინანსებს, ხოლო საჭირო მედიკამენტების შეძენას 150 ლარის ფარგლებში უზრუნველვყოფთ. პროგრამით სარგებლობის საჭიროება ექიმის მიერ უნდა დაფიქსირდეს ფორმა 100-ში,“- ამბობს ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი.

როგორც ქალბატონი ნანა განმარტავს, სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა ოჯახებისათვის დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურების ქვეპროგრამა 200 ლარითაა განსაზღვრული. აქ ცვლილება მხოლოდ სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა ქულათა ოდენობას შეეხება, არსებული 57 ათასი ქულა 65 ათას ქულამდე იზრდება. ასევე არსებობს უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯი, რომელზეც 300 ლარია გამოყოფილი. გარდა ამისა, მიმდინარე წელს სოციალურ პროგრამებს ემატება ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარება, რომელიც გულისხმობს იმ ვეტერანის დახმარებას, რომელიც მოკლებულია შესაძლებლობას, ისარგებლოს სხვა მუნიციპალური პროგრამით. ასევე გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამა, რომელშიც მოიაზრებიან ისეთი ოჯახები, რომლებიც არიან კრიზისულ მდგომარეობაში და საჭიროებენ დახმარებას.

სოციალური დახმარების პროგრამის შესაძლო ცვლილებასთან დაკავშირებით, ბიურომ უკვე იმსჯელა. საკითხი დასამტკიცებლად დეპუტატებს 5 აპრილს საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარედგინებათ.

თამარ მაღრაძე

## ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი პრემიერისთვის ემზადება

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, საქართველოს მასშტაბით, 15 მარტიდან თეატრებმა ოფიციალურად განაახლეს მუშაობა. ამჟამად რომელ სპექტაკლზე მუშაობს ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი და რა სამომავლო გეგმები აქვთ, ამის შესახებ რეჟისორს, მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსს - ირინე ჩხეიძეს - ვესაუბრეთ.

**-ქალბატონო ირინე, პანდემიის გამო საკმაოდ ხანგრძლივი პაუზა ჰქონდა თეატრებს, როგორი განწყობით განაახლეთ მუშაობა?**

-ხელოვანი ადამიანებისთვის სულიერი მოთხოვნილებაა თავის დარგში აქტიურად მუშაობა. პანდემიის გამო შემოქმედებითი პაუზა ჩვენთვის განსაკუთრებით რთული გახლდათ. პირადად მე ამ პერიოდმა ცხადად მიჩვენა, რომ ჩემი საყვარელი საქმის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. დასის თითოეული წევრი სულმოუთქმელად



ველოდებოდით, როდის განახლდებოდა რეპეტიციები.

**-ამჟამად რომელ სპექტაკლზე მუშაობთ?**

-აქტიურად ვმუშაობთ სპექტაკლზე ,,იმერული რეკვიემი“, რომლის სცენარიც ცნობილი დრამატურგის რეზო კლდიაშვილის პიესის მიხედვით შეიქმნა. მინდა, აღვნიშნო, რომ ამ სპექტაკლზე უკვე მესამედ განვაახლეთ მუშაობა და იმედი გვაქვს, პანდემია მოგვცემს შესაძლებლობას, ახლა მაინც ბოლომდე მივიყვანოთ დაწყებული საქმე და წარვდგეთ მონატრებული მაყურებლის წინაშე. ვგეგმავთ, რომ ეს სპექტაკლი ვაჩვენოთ ,,იმერეთის თეატრალურ ფესტივალზე“, რომელიც მაისის ბოლოს დაიწყება და ივნისის შუა რიცხვებამდე გაგრძელდება. აღნიშნულ ფესტივალზე მონაწილეობის მიღება საკმაოდ საპასუხისმგებლოა, რადგან მასში მონაწილეობენ იმერეთის მხარის მუნიციპალური თეატრები და ასევე სტუმრები ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან. ჩვენდა სასიხარულოდ, ქუთაისელი მაყურებელი განსაკუთრებით ელოდება ჩვენი დასის სცენაზე გამოსვლას. 2019 წელს ვაჩვენეთ სპექტაკლი ,,ხორუმი ქართული ცეკვაა“, რომელმაც მაყურებელთა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია და მან სამ ნომინაციაში გაიმარჯვა. ერთ-ერთი მთავარი პრიზი საუკეთესო რეჟისურისათვის მე ავიღე, ხოლო პრიზები ქალისა და მამაკაცის ეპიზოდური როლის საუკეთესო შესრულებისათვის -ლია ჭიპაშვილმა და როლანდ ხიჯაკაძემ.

ზაფხულის პერიოდში რეგულაციების დაცვით სულ 7 სპექტაკლი ვაჩვენეთ. აქედან ხუთჯერ თოჯინების თეატრის სპექტაკლები წარვუდგინეთ პატარა მაყურებელს, როგორც დაბაში, ასევე მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში.

ჩვენს სპექტაკლს მუსიკალურად კვლავ ანუშკა ჩხეიძე გააფორმებს, მხატვრულად კი - თავისი საქმის პროფესიონალი და არაჩვეულებრივი პიროვნება - გაიოზ შუბითიძე.

**-როგორია სამომავლო გეგმები...**

-ახლა მთავარი სპექტაკლ ,,იმერულ რეკვიემზე“ მუშაობა და პრემიერისთვის მზადებაა. რაც შეეხება თოჯინების თეატრს, ვგეგმავთ ახალ სპექტაკლზე მუშაობას, რომელსაც გივი ჭიჭინაძის პიესის ,,იისფერას“ მიხედვით დავდგამთ.

უახლოეს მომავალში ვაპირებთ, თოჯინების თეატრით ვესტუმროთ ახლად გახსნილ საბავშვო ბაღებს და დიდი იმედი გვაქვს, რომ პანდემიის გამო არსებული რეგულაციები ამის საშუალებას მოგვცემს.

მარიამ შარიქაძე

## მილოცვა



ვულოცავთ საზოგადოების ღირსეულ წევრს, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით გამორჩეულ პიროვნებას, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების" თავმჯდომარეს, ბატონ იუზა (ვალოდა) კელენჯერიძეს, დაბადების დღეს.

ვუსურვებთ, რომ დიდხანს, კვლავ დიდხანს არ მოჰკლებოდეს საფიცარ ხარაგაულს მისი ვაჟკაცური შნო და ლაზათი. იჯანმრთელოს და იბედნიეროს უსაყვარლეს ოჯახთან და დიდ სამეგობროსთან ერთად.

ღვთისმშობლის მადლმა უწინამძღვროს მისი შინაარსიანი ცხოვრების ყოველ დღეს.

*ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"*

## წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიაში პირველკლასელთა რეგისტრაცია დაიწყო



წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ერთადერთი კერძო სკოლაა, რომლის რექტორი მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსი მეუფე მელქისედეკია (ხაჩიძე), აღმასრულებელი დირექტორი დეკანოზი პავლე (ცერცვაძე), ხოლო სულიერი მოძღვარი დეკანოზი თომა (ლაცაბიძე).

კერძო სკოლამ პირველკლასელთა რეგისტრაცია 15 მარტიდან დაიწყო. როგორაა შესაძლებელი ბავშვების დარეგისტრირება, რას სთავაზობს გიმნაზია 2021-2022 სასწავლო წლისათვის მოსწავლეებს, ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე სკოლის აღმასრულებელი დირექტორი დეკანოზი პავლე გვესაუბრება.

-2021-2022 სასწავლო წლისათვის მზადება დავიწყეთ. უკვე შესაძლებელია წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიაში პირველკლასელთა რეგისტრაცია. ამისათვის საჭიროა მშობელთა პირადობის მოწმობის ასლები, ბავშვის დაბადების მოწმობა და მშობლის განცხადება. მოსწავლეთა მიღების მხრივ რაოდენობრივი შეზღუდვა არ გვაქვს. მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მეუფე მელქისედეკის ლოცვა-კურთხევით, გიმნაზიაში ისწავლება საღვთო სჯული, ბიბლია, ძველი ქართული დამწერლობა (ასომთავრული და ნუსხახუცური), გალობა და ხალხური სიმღერები. მახსენდება უწმინდესი და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის ლოცვა-კურთხევა, რომ ყველა ქართველმა უნდა იცოდეს ძველი ქართული დამწერლობა. თუ მოზარდებს სულიერი საზრდო არ მივაწოდეთ, ფაქტობრივად, ისინი დაღუპვის გზაზე აღმოჩნდებიან. ვფიქრობ, მომავალი თაობისათვის სულიერი განათლების მიცემა უმნიშვნელოვანესია და ისინი უნდა აღიზარდონ იმ ფასეულობებზე, რაც ჩვენი ქვეყნისთვისაა ტრადიციული.

აქვე გეტყვით, რომ ყოველ სამშაბათს დეკანოზი თომა, აღავლენს საღვთო ლიტურგიას ანუ წირვას, რომელზეც გიმნაზიის ყველა ბავშვი ეზიარება. ხოლო ყოველ ხუთშაბათს ხარაგაულელთათვის ჯანმრთელობის პარაკლისი აღევლინება.

***-მამა პავლე, რას სთავაზობს გიმნაზია 2021-2022 სასწავლო წლისათვის მოსწავლეებს?***

-2021-2022 სასწავლო წელს პირველკლასელებს საჩუქრად გადაეცემათ ბუკები და სასკოლო სახელმძღვანელოები. გიმნაზიაში, ისევე როგორც საჯარო სკოლებში, სასკოლო სახელმძღვანელოები ბავშვისათვის უფასოა. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს ვთავაზობთ გახანგრძლივებულ ჯგუფში სწავლებას გადასახადების გარეშე.

კიდევ ერთხელ გავამახვილებ ყურადღებას სასკოლო ავტობუსზე, რომელიც მეუფე მელქისედეკის მხარდაჭერით, მოსწავლეებს უკვე ემსახურება. დავამატებ, რომ სატრანსპორტო საშუალება, სურვილისამებრ, ყველა ბავშვის გადაადგილებას უზრუნველყოფს, ეს იქნება გიმნაზიელი, თუ სხვა სკოლის მოსწავლე. მეუფე ბრძანებს, რომ ამ ეპარქიაში არა მხოლოდ გიმნაზიის მოსწავლე, არამედ ყველა ბავშვი მისი შვილია.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, თამამად ვიტყვი, რომ ყველაფერი საკმაოდ მაღალ დონეზეა მოწყობილი. არსებობს ასეთი სტერეოტიპი, რომ თუ ბავშვი მოუნათლავია, არ ვიღებთ, ეს ასე არაა. სასულიერო პირები აქ ვართ და თავადვე უზრუნველვყოფთ ყოველივეს.

გვყავს მაღალი დონის პედაგოგები. მადლობა მათ თავდაუზოგავი შრომისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის. ისინი ნამდვილად გამორჩეულნი არიან თავისი განათლებით, ინტელექტით, მიღწევებითა და, ამავე დროს, სულიერებით. ეს მასწავლებლები არიან მაზიარებლები, რომლებმაც კარგად იციან ათი მცნება, ცხრა ნეტარება, რაც მნიშვნელოვანია ბავშვებთან ურთიერთობაში.

თამარ მაღრაძე

## ბიუროს სხდომაზე შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში მოისმინეს

ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მოისმინეს. საკითხი ამავე სამსახურის უფროსმა, გიორგი ჭყოიძემ, წარადგინა. მომხსენებელმა დეტალურად ისაუბრა განხორციელებულ ღონისძიებებზე, ძირითად რისკებსა და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად გაცემულ რეკომენდაციებზე.

ჭყოიძის ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2019- 2020 წლების მუშაობას, თუმცა ქვეყანაში არსებული ეპიდვითარების გამო, წლიური გეგმებით გათვალისწინებული ყველა ორგანიზაციის შემოწმება ვერ მოხერხდა.

,,აუდიტორული შემოწმებების შედეგად, ძირითადად გამოვლენილია ხარვეზები შესყიდვების პროცედურებთან, ასევე თანხების ხარჯვასთან და საშტატო განრიგებთან დაკავშირებით. გაცემული რეკომენდაციების დიდი ნაწილი შესრულებულია, მაგრამ გარკვეული ხარვეზები კვლავ რჩება, რისთვისაც სამსახური აქტიურად მუშაობს."- განმარტავს გიორგი ჭყოიძე.

აღნიშნული საკითხის შესახებ დეპუტატები უფრო ვრცლად 5 აპრილს გამართულ საკრებულოს სხდომაზე იმსჯელებენ. ამავე დღეს გახდება ცნობილი, თუ როგორ შეაფასებენ საკრებულოს წევრები შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მუშაობას.

თამარ მაღრაძე

## ხარაგაულში არსებულ სპორტულ სექციებზე მეცადინეობები აქტიურად მიმდინარეობს

ხარაგაულის სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრმა მუშაობა სრული დატვირთვითა და რეკომენდაციების დაცვით 15 მარტიდან განაახლა. ორგანიზაციის



საქმიანობას ადგილზე გაეცნო ხარაგაულის მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი და მერის თანაშემწე ჟანა ნემსაძე.

როგორც შეხვედრაზე ცენტრის დირექტორმა გია ჭიპაშვილმა განმარტა, სპორტული წრეები მუნიციპალიტეტის რვა სოფელში ფუნქციონირებს. კერძოდ, ხევში - ძიუდო; ნადაბურში - კალათბურთი; ვერტყვიჭალაში - გოგონების კალათბურთი, კარატე; ბორითში - ფეხბურთი, ძიუდო; კიცხში - მკლავჭიდი, რაგბი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ფეხბურთი; ღორეშაში - ძიუდო; ვახანში - ძიუდო; მოლითში - ქართული ჭიდაობა; დაბაში კი სპორტული სახეობის თითქმის ყველა სექციაა.

ა(ა)იპ-ის დირექტორის ინფორმაციით, სპორტსკოლაში აპრილში ჭადრაკის ჩემპიონატია დაგეგმილი. მისივე განმარტებით, 22 მარტს დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში 23-წლამდელ ასაკთა შორის, რომელშიც ხარაგაულელებმა წარმატებით იასპარეზეს. ევსემ შველიძემ დაიკავა მეორე ადგილი, ზაურ ბერაძემ - მესამე, ხოლო თედო ებანოიძე მეოთხე ადგილზე გავიდა.

ბატონმა გიამ ტურიზმის მიმართულებითაც ისაუბრა და დასძინა, რომ უამინდობის გამო დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა, თუმცა იმედოვნებს, რომ ამ კუთხით ახლო მომავალში სიახლეები იქნება.

„პანდემიიდან გამომდინარე, თუ მოგვეცემა საშუალება, წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღესთან დაკავშირებით, პილიგრიმული ტურის მოსაწყობად თანხები გვაქვს, რომელიც რა თქმა უნდა, რეგულაციების სრული დაცვით მოეწყობა,"-განაცხადა სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის დირექტორმა გია ჭიპაშვილმა.

თამარ მაღრაძე

## ხარაგაულში უსინათლოთა პროგრამა განახლდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში უკვე ოთხ წელზე მეტია, უსინათლოთა პროგრამა ფუნქციონირებს. პანდემიიდან გამომდინარე, მეცადინეობები დროებით შეჩერდა, თუმცა რამდენიმე ხნის წინ, რეგულაციების სრული დაცვით, სწავლება განახლდა. პროექტი 8-თვიანია და მასში ამჯერად 12 ბენეფიციარია ჩართული. ხარაგაულის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ამ მიმართულებით 11 ათას ლარზე მეტია გამოყოფილი. პროექტის მენეჯერის, გულიკო ჭარბაძის, ინფორმაციით, მონაწილეები სხვადასხვა პროფილით გადიან სწავლებას. კერძოდ: ბრაილის შრიფტის სწავლება (პედაგოგი - მზია კურტანიძე); ადაპტირებული ხმოვანი კომპიუტერის პროგრამა (პედაგოგი -ვასილ ლომიძე); სამაგიდო თამაშები - (რომან შავიძე) და აუდიო ლიტერატურული წრე - (პედაგოგი ხათუნა ლაბაძე). აღსანიშნავია, რომ აქ დასაქმებულია პირველი და მეორე ჯგუფის ხუთი ბენეფიციარი.

,,საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი, რამდენად რთულია სახლში ჩაკეტვა. პროგრამის თითოეულ მონაწილეს ახარებს და აბედნიერებს აქ მოსვლა, ერთმანეთთან ურთიერთობა",-აღნიშნავს აუდიო ლიტერატურული პოეზიის პედაგოგი და პროექტის მონაწილე ხათუნა ლაბაძე.

ვასილ ლომიძე, რომელიც უსინათლოთა საზოგადოების ზესტაფონის ორგანიზაციის თავმჯდომარეა, პროექტის მნიშვნელობაზე საუბრობს და მადლობას უხდის ხარაგაულის მერს, ბ-ნ კობა ლურსმანაშვილს, რომლის ძალისხმევით წლებია, პროგრამა წარმატებით ხორციელდება.

,,ვთვლი, რომ ბედნიერი ადამიანი ვარ. დამოუკიდებლად შემიძლია ინტერნეტში ინფორმაციისა და აუდიო მასალების მოძიება, ჩამოტვირთვა და მოსმენა. ამასთან ერთად, სხვა უსინათლო პირებსაც ვეხმარები, ისწავლონ კომპიუტერთან მუშაობა. მიხარია, რომ აპრილიდან ახალციხეში ადგილობრივი უსინათლო პირებისათვის მსგავს



სასწავლო კურსს წარვუძღვები.

როდესაც ეს პროექტი წლების წინ ხარაგაულის მერიაში წარვადგინე, დიდი მხარდაჭერა გვქონდა ბატონ კობა ლურსმანაშვილისგან. სწორედ ის გახლავთ ადამიანი, რომელიც გვერდით დაგვიდგა და ამ წლების განმავლობაში მაქსიმალურად ზრუნავს ჩვენს კეთილდღეობაზე. გეტყვით, რომ სამომავლოდ მსურს, განაცხადი შევიტანო ადგილობრივ თვითმმართველობაში და დახმარება ვთხოვო ხელმძღვანელ პირებს, რათა ახალგაზრდა, ტოტალურად უსინათლო პირებს, შეუძინონ მობილური ტელეფონები. მობილურში იტვირთება შშმ პირებისთვის სპეციალური ხმოვანი პროგრამა, რომლის მეშვეობითაც ბენეფიციარებს თავისუფლად შეუძლიათ მისი გამოყენება. გარდა ამისა, სხვადასხვა პროგრამის წარჩინებული მოსწავლეებისათვის ლეპტოპების გადაცემას ვგეგმავ. ვისურვებდი, რომ ყველაფერი, რაც უსინათლოთა საზოგადოებაში ადაპტირებას შეუწყობს ხელს იყოს მოწესრიგებული, მათ შორის, ტრანსპორტირების საკითხი." - განმარტავს ვასილ ლომიძე.

აქვე დავამატებ, რომ ადამიანის გონებრივი შესაძლებლობები უსაზღვროა და ის, რისი მიღწევაც გონებას შეუძლია, ფიზიკური სისუსტე ამას ხელს ვერ შეუშლის. არსებობენ ადამიანები, რომლებმაც მსოფლიოს დაუმტკიცეს, რომ შეზღუდული შესაძლებლობა არ არსებობს, თუნდაც ბრაილის შრიფტის შემქმნელი ფრანგი ტიფლოპედაგოგი - ლუი ბრაილი.

წარმატებები ამ მეტად მნიშვნელოვანი პროექტის ყველა მონაწილეს!

მარიამ შარიქაძე

**გამომცემელი** ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
**დირექტორი: ეკა შავიძე;** ტელ: **595-51-98-12**